ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2019-1737-006

ქ. თბილისი **6 სექტემბერი, 2019 წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის აპარატის პირველი მოადგილის თამარ გვარამაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ლერმონტ“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით კუპრაშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის **(წარმომადგენლობითი ხარჯები)** დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი მიწოდების ვადები

2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს სასტუმროში დაბინავების მომსახურებით (CPV 55110000 - სასტუმროში დაბინავების მომსახურება) სახალხო დამცველის აპარატისა და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის ერთობლივი პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის (ომბუდსმენის) მხარდაჭერა პროექტის ბენეფიციართა მდგომარეობის შესწავლაში“ ფარგლებში დაგეგმილი ტრეინინგში „ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა და უსაფრთხოების საკითხები“ მოწვეული ტრენერისთვის: ევროპის მოქალაქეობის არმქონეობის ქსელის კვლევისა და პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი ნინო მურეი.

თარიღი	აღწერა	რაოდენობა (ოთახი)	ერთეულის ფასი	თანხა (ლარი)
08/09/2019	ოთახის საფასური (საუზმით)	1	281.77	281.77
11/09/2019	ოთახის საფასური (საუზმით)	1	281.77	281.77
12/09/2019	ოთახის საფასური (საუზმით)	1	281.68	281.68
			მთლიანი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით:	**845.22**

2.2. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. N10, სასტუმრო „იოტა“.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **845.22** (რვაას ორმოცდახუთი ლარი და 22 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მიღებული მომსახურების მიხედვით შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) გაფორმების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით. **დაფინანსების წყარო: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა თავშესაფრის**

მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მდგომარეობის შესწავლაში“ მიზნობრივი გრანტის (ფინანსთა სამინისტროს რეგისტრაციის №1737; 14.03.2019) სახსრები.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ამ მუხლის 5.1. პუნქტში აღნიშნულ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას ხელს მოაწერს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი: **თამთა პაპუაშვილი** – პროექტის კოორდინატორი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული მომსახურების მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი საიდ. კოდი: 203860679 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 1481 (ცხელი ხაზი); 599 44 11 02 ელ–ფოსტა: nzhorzholiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა: 200122900 _____ სახალხო დამცველის პირველი მოადგილე თამარ გვარამაძე	მიმწოდებელი: შპს „ლერმონტ“ საიდ. კოდი: 405122415 მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. N10 ტელ: 595 30 35 37 თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE72TB 7235 9360 8010 0001 _____ დირექტორი დავით კუპრაშვილი

Public Defender Office of Georgia

Digitally signed by Public Defender Office of Georgia
Date: 2019.09.06 12:16:42 +04'00'